განკარგულება:**g-27. 27242082**
თარიღი:**26/07/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 42

26 ივლისი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 20 მაისს შემოვიდა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის“ წერილი ქ. თელავში, ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა, მესამე ჩიხი N3-ში მდებარე 01 და 03 კორპუსების (საკადასტრო კოდი 53.20.46.094) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია“ 2014 წლიდან სარგებლობს ქ. თელავში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა, მესამე ჩიხი N3-ში მდებარე უძრავი ქონებით. ორგანიზაცია წლების განმავლობაში ახორციელებს ბავშვთა ადრეული განვითარების, შშმ ბავშვთა დღის ცენტრით უზრუნველყოფის, შესაბამისი საჭიროების მქონე შშმ ბავშვთა ბინაზე მოვლის, სკოლამდელი ინკლუზიური განათლებისა და აუტიზმის სახელმწიფო პროგრამებს.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე სხვა მიზნით განკარგვა არ არის დაგეგმილი, ორგანიზაციის საქმიანობის ხელსეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციას“ (ს/კ **231241947**) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 (ორი)** წლის ვადით გადასცეს ქ. თელავში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა, მესამე ჩიხი N3-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 53.20.46.094) **01** (306.5 კვ.მ.) და **03** (305.35 კვ.მ.) კორპუსები.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი